მოწყობილობის დანიშნულება

თმის საკრეჭი მანქანა განკუთვნილია თმის შეჭრისა და შესწორებისთვის.

უსაფრთხოების ზომები

- გამოიყენეთ მოწყობილობა მხოლოდ დანიშნულებისამებრ.
- კვების წყაროსთან დაკავშირებამდე დარწმუნდით, რომ თქვენი სახლის ელექტროქსელის ძაბვა შეესაბამება მოწყობილობის ტექნიკურ მახასიათებლებს. შეაერთეთ მოწყობილობა მხოლოდ დამიწებულ როზეტში.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა დავარდნის შემდეგ, ასევე ხილული დაზიანების ან მუშაობის შეფერხების შემთხვევაში. მათი გამოვლენისთანავე მიმართეთ ავტორიზებულ სერვის-ცენტრს.
- ყოველთვის გამორთეთ მოწყობილობა ქსელიდან, როდესაც მას არ იყენებთ, ასევე გაწმენდის, აწყობისა და დაშლის წინ.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისათვის, აგრეთვე შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთათვის გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება კონტროლი მათი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ. არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის უფლება.
- არ გახსნათ მოწყობილობა და არ შეაკეთოთ იგი დამოუკიდებლად. მომსახურება და რემონტი უნდა შესრულდეს მხოლოდ ავტორიზებული სერვის-ცენტრის კვალიფიციური სპეციალისტების მიერ.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა სააბაზანო ოთახებში, საშხაპეებში, აუზებთან, წყლის უშუალო სიახლოვეს და ა.შ. არასოდეს მოათავსოთ მოწყობილობა წყლის ჭავლის ქვეშ და არ ჩადოთ იგი მთლიანად წყალში. არ შეეხოთ მოწყობილობას სველი ხელებით.
- დაზიანების თავიდან ასაცილებლად, ნუ განათავსებთ მოწყობილობას და კაბელს ცხელ ზედაპირებთან ახლოს.
- მოწყობილობის გასაწმენდად არ გამოიყენოთ შეკუმშული ჰაერი, ლითონის ღრუბლები, აბრაზიული საწმენდი საშუალებები ან აგრესიული სითხეები (ზეთი ან აცეტონი).
- არ გამოიყენოთ მოცემული მოწყობილობა ხელოვნური თმისა და ცხოველის ბეწვის შესაკრეჭად.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისთვის გამოსაყენებლად.